№ 61

შაბათი, 20 მარტი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 61

შაბათი, 20 მარტი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**მკურნალი მიხეილ საბას ძე ცისკარაშვილი** და **ელისაბედ სვიმონის ასული ალნიაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—დისას, ხოლო მეორე—დისწულისას

**ანნა საბას ასულის ცისკარაშვილისას**

და სთხოვენ დაესწრნენ დასაფლავებას, კვირას, 21 ამა მარტს, დაბა ცხინვალში. (2—37—2)

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

**სახელოსნო-სამკერვალო**

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადფმყოებს.

ი. თ. პრიტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ვადმყოფ.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1 1/4—2 1/4 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6 1/2—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

ე ქ ი მ ი

**კ. ი. გძელიშვილი**

მ ი ი ღ ე ბ ს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—23)

**მთავრობის განკარგულებანი**

—

გადაყვანილ იქმნა: დასავლეთ ციმბირის მე-5 ლინეის ბატალიონის პორუჩიკი ქელია—ღორიის ზურგის რაზმში.

## ახალი ამბავი

—

*** 28 მარტს დაიწყება არჩევანები ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის იმ რწმუნებულთა, რომელნიც ბანკის მესხებლებმა უნდა ამოარჩიონ.

*** საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დანიშნულია 7 აპრილისათვის. ამ კრებაზედ არჩეულ უნდა იქმნან რწმუნებულნი ბანკისა. ამას გარდა კრებამ უნდა განიხილოს მოხსენებანი: ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღებისა, ირაკლის სტიპენდიებისა, ტფილისის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ და სხ.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის მინდობილებით აგრონომმა ფირალოვმა უკვე შეიმუშავა პროექტი იმ ღონის-ძიებათა, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება შინა-მრეწველობის გაძლიერება და განკარგება კავკასიაში.

*** რადგანაც ხელოსანთა აწინდელს მოურავს სამსახურის ვადა გასდის, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმსრულებელმა დაავალა მოურავს დანიშნოს ახალის მოურავის არჩევანები.

*** გუშინ-წინ, 18 მარტს, ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება ჰქონდა. საბჭომ ამ კრებაზედ რამდენიმე უმნიშვნელო საქმე განიხილა და, სხვათა შორის, დაამტკიცა ქალაქის გამგეობისა და განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება საბჭოში საქმეების წარმოების წესის შეცვლის შესახებ. ამას გარდა, კრებამ დაადგინა დაუნიშნოს მოკლულის პოლიციელის ტარასოვის ოჯახს პენსიად წელიწადში 120 მანეთი. ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევანი ამ კრებაზედ არ მოხდა.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ საფილოქსერო კომიტეტმა განსაკუთრებული კომისია დანიშნა იმის გამოსარკვევად, რამდენად შესაძლებელია ელექტრონით ფილოქსერიისაგან ვაზის წამლობა. ეს წამლობა გამოიგონა ინჟენერმა პილუსკიმ. კომისიამ გამოსცადა და დარწმუნდა, რომ ფილოქსერის წამლობა ამ ნაირად შეუძლებელიაო.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა რაჭის მაზრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი ხიდის-კარამდე ფილოქსერიან ადგილებად სცნო და ნება დართო მსურველთ გამოიწერონ საქარის სანერგედგან ამერიკული ვაზი გასაშენებლად.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეეკითხა საერო განათლების მინისტრს, წელს ეგზამენები 25 მაისამდე უნდა გათავდეს თუ არა. ამასთან სთხოვა ნება-რთვა დღესასწაულების გამართვისა სასწავლებლებში პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულებისა გამო. როგორც გაზ. „კავ."-ი იუწყება, მინისტრისაგან ბ ნმა მზრუნველმა დეპეშით შემდეგი პასუხი მიიღო: „ეგზამენები და სწავლა ჩვეულებრივს ვადაზედ უნდა გაათავოთ. ნებას გაძლევთ 26 და 27 მაისს იდღესასწაულოთ".

## ფელეტონი

—

**უცხოთა შორის**

მარტენ ნადო.—ნადო-კალატოზი.—მუშაობის აღკვეთა.—მცირე არეულობანი.—მუშათა გაზეთები.—ნადო-ორატორი.—1848 წლის რევოლიუცია.—არჩევანები.—ნადოს დეპუტატად არჩევა.—ნადო-დეპუტატი.—ნადოს პირველი სიტყვა.—მუშათა ნადიმები.—ნადოს კანდიდატად დასახელება პრეზინტის თანამდებობაზედ.—ნადო და ლუი ბონაპარტე.—დაპატიმრება ნადოსი და განდევნა.—ლონდონში მუშაობა.—ნადო-მასწავლებელი და პროფესსორი.—ნადო-ადმინისტრატორი.—უკანასკნელი დღენი კალატოზისა.

განათლებულს ქვეყნებში ხშირია ისეთი მაგალითები, როდესაც უბრალო, უსწავლელსა და ღარიბს კაცს მხოლოდ თავისის შრომითა და მეცადინეობით უმაღლეს ხარისხამდე მიუღწევია და ბევრი რამ სასიკეთო და სასარგებლო საქმე გაუკეთებია თავისის ქვეყნისა და მოძმეთათვის. ისეთს ქვეყნებში, სადაც სრული თანასწორობაა, სადაც შთამომავლობაწოდებასა და კაცის ხელობას ყურადღებას არ აქცევენ, ასეთ შრომის მოყვარეთა და სხვათათვის გულშემატკივარს კაცს ადვილად შეუძლიან წინ წაიწიოს და თუ ბუნებით საკმაო ნიჭიც შესწევს სხვათა წინამძღოლი და გზის მაჩვენებელიც გახდეს. ერთს ასეთს თვალ-საჩინო მაგალითს წარმოადგენს ამას წინად პარიჟში გარდაცვალებული მარტენ ნადო. ამ კაცის ცხოვრება და საზოგადო მოღვაწეობა იმდენად საყურადღებო და საინტერესოა, რომ, ჩვენის აზრით, მეტი არ იქნება მკითხველებს გავაცნოთ იგი, რისთვისაც ვსარგებლობთ ერთის გაზეთის ფელეტონით, სადაც იმისი ბიოგრაფიაა დაბეჭდილი. თუ რამდენად ღირსია ამ კაცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა, საკმარისია მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ მარტენ ნადო, ხელობით უბრალო კალატოზი, ერთ დროს საფრანგეთის პრეზიდენტის თანამდებობის კანდიდატადაც-კი იყო დასახელებული.

მარტენ ნადო დაიბადა 1815 წელს კრეზის დეპარტამენტის ერთს პატარა სოფელში. იმისი მამა ღარიბი კალატოზი იყო. ბავშვობაში ნადო საქონელსა მწყსავდა და ათასში ერთხელ ან-ბანის შესასწავლად დადიოდა ჯერ სოფლის დიაკვანთან, ხოლო შემდეგ მასწავლებელთან. 15 წლისა რომ შესრულდა, მამამ პარიჟში წაიყვანა და იქ ერთს კალატოზს შეგირდად მიაბარა. უიმისოდაც ღარიბი მამა ნადოსი ამ დროს ისეთ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, რომ თავის მოკვლა განიზრახა და მხოლოდ 15 წლის შვილის ნუგეშმა აალებინა ხელი ამ განზრახვაზედ. სამი წელიწადი ნადო შეგირდად იყო და ამ ხნის განმავლობაში დაუღალავად ეწეოდა შეგირდის მძიმე უღელს. ბოლოს, როგორც იყო, კალატოზობასაც ეღირსა. ახალგაზდა ოსტატი დღეში ორ ფრანკს იღებდა, რასაც იგი დიდ ფულადა სთვლიდა. თავისუფალ დროს ნადო წიგნების კითხვასა და სწავლას ანდომებდა. კვირა-უქმე დღეებში უფასო სკოლაში დაიარებოდა და იქ გულ-მოდგინედ სწავლობდა ანგარიშს, პირველდაწყებითს გეომეტრიას, ხატვასა და სხვა საგნებს.

1835 წელს ნადოს საქმეები უკეთ წავიდა. სამუშაო იმდენი იყო, რომ ერთს დღესაც არ მოცდენილა. მალე მამის ვალების გასტუმრებასაც შეუდგა. ამავე დროს, 1839 წელს, ნადომ სოფელში ცოლი შეირთო. არ გასულა ბევრი ხანი, რომ პარიჟში სხვა-და-სხვა ხელოსნებმა პირი შეჰკრეს და მუშაობა აღკვეთეს. ამ საქმეში ნადომ გულ-მხურვალე მონაწილეობა მიიღო. გაიცნო მაშინ სხვა-და-სხვა გამოჩენილი კაცები და მოღვაწენი, რომელთან დაახლოვებამაც დიდი სარგებლობა მოუტანა ახალგაზრდა კალატოზს. ნადომ სხვა მუშებთან ერთად მხურვალე მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მცირე აჯანყებებში, რომელიც 1848 წლის რევოლიუციას წინ უძღოდა. ამ დროს ძალიან გავრცელდა მუშათა შორის კავშირები, ამხანაგობანი; ზოგნი საკუთარს გაზეთსაც-კი ბეჭდავდნენ. ასეთ გაზეთებს შორის სხვაზედ მეტ ყურადღებას იქცევდა გაზეთი „L'Atelier"-ი, რომლის უმთავრესს თანამშრომლებადაც იყვნენ: საქანდაკო სახელოსნოს მუშა კარბონი, რომელიც შემდეგ დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტად და სენატორად გახდა, დურგალი აგრიკოლო პერდიგიე, ზეინკალი ჟილანი და ასოთამწყობი ანრი ლენევე. თავისის გაზეთის პირველ ნომერში ეს მუშათა პირველნი მწერალნი აცხადებდნენ: „ჩვენ, მუშები, ვსარგებლობთ იმ უფლებით, რომელიც დღემდის ყველა ფრანგსა აქვს მინიჭებული და ვბეჭდავთ მუშებისათვის გაზეთს. თუმცა ეს საქმე მეტად ძნელია, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს დავუმტკიცოთ მთელ ქვეყანას, რომ ჩვენ, მუშებსაც, გვაქვს ადამიანური აზრი და შეგვიძლიან საპოლიტიკო საგნების შესახებ სჯა-ბაასი". მალე ასეთი გაზეთი ორი-სამი სხვაც დაარსდა. ნადო წერით არაფერსა სწერდა ამ გაზეთებში, მაგრამ კარგად იცნობდა თანამშრომელთა და რედაქტორებს და ხშირად დადიოდა რედაქციებში, სადაც თავს იყრიდნენ მოწინავე მუშები და სხვა-და სხვა საგნის შესახებ სჯაბაასობდნენ. ყრილობების დროს თავისის სიტყვებით ნადომ ყველას ყურადღება მიიქცია.

დადგა 1848 წელიწადი, ეს მეორე იმპერიის დამხობის წელი. ნადო სხვებთან ერთად წინ მიუძღოდა ბრბოს მეფის სასახლის აღების დროს და საზოგადოდ დიდს მონაწილეობას იღებდა იმპერიის დამხობის საქმეში. პირველი საჯარო სიტყვა ნადომ წარმოსთქვა რესპუბლიკის დამყარების შემდეგ ამომრჩეველთა კრებაზედ. ნადოს სიტყვას იქ დამსწრე მუშები ტაშის ცემით მიეგებნენ და მაშინვე იმისი კანდიდატურა წამოაყენეს. თუმცა მრავალმა მუშამ მხარი დაუჭირა, მაგრამ მოწინააღმდეგენი მაინც მეტნი აღმოჩნდნენ და გააშავეს. ნადო ხელ-ახლა კალატოზობას დაუბრუნდა. არ გასულა ბევრი ხანი, რომ ნადო საკანონმდებლო საკრებულოს დეპუტატად აირჩიეს. არჩევანებს თვით ნადო არ დასწრებია. ის იმ დროს ერთს ტყის ნაპირას მუშაობდა, სადაც სხვა მუშებთან ერთად დიდს სახლს აშენებდა. ნადოს იმედი არა ჰქონდა არჩევისა, ის თავ-გამოდებულს მუშაობაში იყო რომ ვიღაც მუშამ დაიძახა: „წერილია დეპუტატ მარტენ ნადოსთანაო".

საფრანგეთის პარლამენტის წევრად მუშის არჩევა პირველი მაგალითი იყო. ბევრს დეპუტატს არ ეჭაშნიკა ასეთის ამხანაგის ყოლა

*** გაზეთ „კავკას“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ:

მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა პროექტი შავის ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანის შესახებ. რკინის გზა გაყვანილი იქმნება ეკატერინოდარიდგან სოხუმამდე თუაფსესა და სოჭაზედ.

რადგანაც კავკასიასა და ყირიმში საუკეთესო ჯიშის თამბაქო კარგად ხეირობს, აზრადა აქვთ იმ ადგილებში, სადაც თამბაქო მოჰყავთ, თამბაქოს ახალი სადგურები გამართონ.

*** როგორც ადგილობრივი რუსული გაზეთები იუწყებიან, ტფილისში არსდება მთა-მადნების მწარმოებელი საზოგადოება.

*** აზრადა აქვთ შავის ზღვის პირის გუბერნიაში დააარსონ ჰლექიანთათვის აგარაკი-სამკურნალო. პროექტი ამ სამკურნალოსი შეუმუშავებიათ და სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტთან შემდგარ განსაკუთრებულ კომისიას უკვე განუხილავს. როგორც „Нов. Вр.“ იუწყება, მრავალს პროფესორს სასურველად უცვნია ასეთის სამკურნალოს დაარსება. სამკურნალოს დაარსებას ჰფიქრობენ დაბა სოჭის მახლობლად სახელმწიფო ადგილზედ.

*** „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, რომ მთავრობამ გადასდო 3,953,000 მანეთი ფოთის ნავთსადგურის გარეგან შენობათა გადასაკეთებლადო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, რუსეთის საგეოგრაფო საზოგადოებამ გადასდო 1500 მ. ყუბანისა და სუხუმის ოლქების გამოსაკვლევად ამ საქმისათვის გამოგზავნილი იქმნებიან ბ-ნნი ბუში და შჩუკინი.

*** როგორც გაზ. „ჩერნ. ვესტ.“-ი იუწყება, ხარჯთ-აღრიცხვით ქ. ბათუმის ამა წლის შემოსავალი გამოანგარიშებულია 825,261 მან. 63 კ. ხოლო გასავალი 797,257 მან. 40 კაპ. ამ რიგად შემოსავალი სჭარბობს გასავალს 28,004 მან. 23 კაპეიკით.

*** როგორც გაზ. „ტფ. ფურ.“, იუწყება, აზრადა აქვთ დააარსონ სააქციონერო საზოგადოება ტფილისში თუჯის ჩამოსასხმელის ქარხნის გასამართავად.

*** როგორც ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის მიერ შეკრებილის ცნობებიდგან სჩანს, 9-დგან 18 მარტამდე ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით—1, წითელი ქარით—2, ქუნთრუშით—6, ყელ-ჭირვებით—1 და სახადით—18 კაცი.

*** ამას წინად გაუწყეთ მკითხველებს სადგურ ქარელში ქრისტ. გურამაშვილის მოკვლის შესახებ. მკვლელები მაშინვე გაიქცნენ. ახლა, როგორც გაზ. „კავკასი“ იუწყებს, ხიდისთავის ბოქაულს ბაბალოვს შეუპყრია მკვლელები, რომელიც აღმოჩნდნენ: ბარო ფარასტაშვილი, სარდო კალიშვილი და როსტომ ქარქსაშვილი. ბრალდებულნი უკვე გამოსტყდნენ, ჩვენ მოვკალით გურამაშვილიო.

*** როგორც იუწყებიან, ბორჩალოს მაზრის ზოგიერთ ადგილებში კალია აღმოჩენილა.

*** ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში, როგორც ადგილობრივი რუსული გაზეთები იუწყებიან, სახადი გაჩენილა.

*** ქალაქის საქიმიო-ლაბორატორიის გამგემ სასანიტარო სამკურნალო საბჭოში ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ტფილისის საქონლის სადგურზედ განსაკუთრებული კაცები იქმნენ დანიშნული, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ ფქვილის გაშრობის საქმეს.

*** ახალციხის მაზრის ადმინისტრაცია თხოულობს, რომ ახალციხეში მდ. ფოცხოვ ჩაიზედ არსებულ ხიდის შესაკეთებლად გადადებულ იქმნას 3,000 მ.

*** მე-3 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე გედევანიშვილმა 17 მარტს დიდუბეში გაჩხრიკა გრიგოლ ვაციტაძის სახელოსნო და აღმოაჩინა იქ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებიდგან მოპარული ნივთები. ვაციტაძე შეიპყრეს.

## წერილი სვანეთიდგან.

ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების სკოლათა ინსპექტორის ბ-ნის ევტიხი მამინაიშვილის მეცადინეობით სადადიანო სვანეთიც ეღირსა სკოლას. ლეჩხუმის მაზრის სოფელ ჩოლურში დაარსდა სკოლა თებერვლის პირველ რიცხვებში. სასკოლე შენობა თავის მოწყობილობით ააგეს თვითონ სვანებმა. სკოლას ჰპირდებიან აგრეთვე შეშას და მოსამსახურეს. სწავლის სარგებლობა შთააგონეს ხალხს ადგილობრივმა სამღვდელოებამ და თავადიშვილებმა, რომელნიც მომავალშიაც მზად არიან სკოლას ყოველისფრით შეუწყონ ხელი.

ყველა შეგნებული კარგად ჰხედავდა, რომ სადადიანო სვანეთი ჩამორჩა სხვა სვანეთის ნაწილებს, მაგრამ საშუალება ვერ ეპოვნათ, რომ სკოლა დაეარსებინა. მთელ სადადიანო სვანეთში, რომელიც შესდგება ათის სამრევლოსაგან, დღევანდლამდის არა ყოფილა არც ერთი უწყების სასწავლებელი, თუ არ ვიანგარიშებთ ლაშხეთის ერთ-კლასიანს სამინისტრო სკოლას, რომელსაც თითონ ადგილობრივი საზოგადოება ინახავს თავისის ხარჯით და მოუთმენლად მოელის მისს გაუქმებას, რადგან ფრიად ღარიბის სვანისათვის წლიურად ერთის მანეთის გარდახდა დიდი ტვირთია.

სოფელი ჩოლური საუკეთესო სასკოლო ალაგად უნდა ჩაითვალოს. ეს არის შუა ადგილი სადადიანო სვანეთისა და კარი თავისუფალის სვანეთის; აქ ყველა სოფლებიდგან შეიძლება ბავშვების მოყვანა, ვიდრე ყველა სოფელს დაუარსდებოდეს საკუთარი სკოლა. სკოლის ფეხზედ დაყენებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ აქ სცხოვრობენ თავადნი გარდაფხაძენი, რომელნიც დიდის აღტაცებით ეგებებიან თავის სამშობლოში სწავლა-განათლების შემოტანის საქმეს.

გასულს წელს, ენკენისთვეში ბ-ნის ევ. მამინაიშვილის შუამდგომლობით, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ დააარსა სკოლები სადადიშკელიანო სვანეთშიაც, სახელდობრ: ფარის, ლახამულისა და ცხმარის სოფლებში. სადადიშკელიანო სვანეთიც უსკოლოდ იყო დარჩენილი. გასულ წლამდის მხოლოდ სვანეთში იყო ორი სკოლა და ისიც ხშირად იკეტებოდა ხოლმე. რაც ბ-ნი მამინაიშვილი დანიშნეს „ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორად, ძველს სკოლებსაც სული ჩაუდგა და ახალი სკოლებიც მიუმატა. დღეს ყველა სკოლაში გულმოდგინე მასწავლებლები არიან დანიშნულნი და საქმეც კარგად მიდის. სვანეთის სკოლების საქმეს თვალ-ყურს ადევნებს და ეწევა პატივცემული თავადი თათარყან დადიშკელიანი, რომელიც საპატიო წევრად აღურჩევია „ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას“.

როგორც მკითხველი ჰხედავს, დღეს მივარდნილ სვანეთის ყველა ნაწილში არის დაარსებული სკოლები. სრული იმედი გვაქვს, რომ ბ-ნის მამინაიშვილის შემწეობით მალე ორ კლასიანი სასწავლებელიც გვექმნება.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ წელს სვანეთის სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესების ამბავიც ისმის. ბ-ნის მამინაიშვილის შუამდგომლობით „ქრისტიანობის აღმად. საზოგადოებას“ გადაუდვია საჭირო ფული სამღვდელოებისათვის სახლების ასაგებად და ჯამაგირის მომატების შესახებაც აღუძრავთ ლაპარაკი. ბ-ნი ევტიხი მამინაიშვილი კარგად ჰხედავს, რომ ყველა სამისიონერო ადგილზედ მეტი ყურადღების ღირსია სვანეთი, სადაც უგზო-უკვლობის გამო ყველაფერი დაშორებულია და ძვირი. თუ სამღვდელოებას ჯამაგირი გაუხადეს 800 მანეთად და სახლებიც აუგეს, მაშინ იქმნება სვანეთსაც ეღირსოს ნასწავლი სამღვდელოება. სკოლებისა და სამღვდელოების შემწეობით სვანებიც მოეწევიან თავიანთ ძმა გურულს—მეგრელ-იმერლებს, რომელთაც თვალსაჩინო ბიჯი წასდგეს წინ საზოგადო განათლების მხრივ.

იქაური

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ჩორჯო,** (რაჭა). თუ კახეთში გათქმული იყო „კახური ღვინო“ და „სვირული ღვინო“ ქებული იმერეთში, რაჭამაც იჩინა თავი თავის „ყიფიანის ღვინით“ *).

რაჭის მეღვინეობის შუა ადგილად ითვლება ერთი საზოგადოება, სახელდობრ, ხვანჭკარისა (ტოლა, ხვანჭკარა და ჩორჯო), სადაც სცხოვრობენ თ. ყიფიანები. ეს სოფლები ზედ-მიბმულია ლეჩხუმის საზღვარზედ, ასკის წყლის აღმოსავლეთით. ეს ადგილები ზედ გამოჭრილია და მოხატულია მევენახეობის სახელ-წოდებით. აქ ძალიან ჰხარობს ვენახი ადგილის კარგის მდებარეობით, ჰავისა და უმთავრესად ნიადაგის თვი-

*) არ იფიქროთ, რომ მარტო ყიფიანებს ჰქონდეთ დაყოლილი ეს ბუნების სიმდიდრე. გლეხკაცებსაც ისეთი ზვრები აქვთ გაშენებული, რომ მოგეწონებათ.

---

პარლამენტში, ბევრი იმასაც გაიძახოდა, რომ ასეთი დეპუტატი პალატისა და დანარჩენ დეპუტატების ღირსებას ამცირებს და ჩირქსა სცხებსო. მაგრამ ნადომ იმათ ყურადღება არ მიაქცია. მალე პარლამენტში წარმოთქმულ პირველსავე სიტყვით დაუმტკიცა დეპუტატებს და მთელს საფრანგეთს, რომ ის არამცთუ ღირსი იყო ასეთის დიდის დაწესებულების წევრობისა, არამედ ყოვლის მხრით მაღლა იდგა ბევრს სხვა წევრთან შედარებით. აი, რასა სწერდა, სხვათა შორის, შარლ დელკრიუზი 1851 წელს ნადოს მიერ პარლამენტში წარმოთქმულ ერთის სიტყვის გამო: „ეს სიტყვა სამახსოვროდ დარჩება ჩვენს საპარლამენტო ისტორიაში; იგი ხალხის განთავისუფლების ნიშანია. იმ დღიდგან, რაც ხალხის წარმომადგენელმა განმარტა მომავალის პროგრამა, გამარჯვება აუცილებელია“. ნადოს საპარლამენტო მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ როგორც მოწინავე დეპუტატები და ჟურნალისტები, აგრეთვე მუშებიც, რომელნიც იმის პატივსაცემად ნადიმებსა ჰმართავდნენ. ხშირად ამ ნადიმებზედ ნადო სიტყვებს ამბობდა. განსაკუთრებით საყურადღებოა იმის სიტყვა, წარმოთქმული ასოთ-ამწყობთა საზოგადოების ნადიმზედ. „თუმცა“, განაცხადა დეპუტატმა, „მე მუშათა სხვა წრეს ვეკუთვნი, მაგრამ მაინც საჯაროდ და ხმა მაღლა თქვენს წინაშე ვლაპარაკობ, რათა დავუმტკიცო მთელ ქვეყანას, რომ ჩვენი მუშები, ერთ ხორც და ერთ სულ ვართ და ერთს საგანს ვემსახურებით: აღვმართოთ შრომის განთავისუფლებისა და პიროვნების ამაღლების დროშა“.

პარლამენტში ნადო მუდამ მუშათა ინტერესებს იცავდა, იმათი მომხრე და ქომაგი იყო. არც ერთი დეპუტატი არ იყო ისე დაახლოვებული მუშებთან, არც ერთმა არ იცოდა კარგად იმათი ცხოვრება, საჭიროება და მოთხოვნილება, ისე, როგორც დეპუტატმა-კალატოზმა. აი, სწორედ ამიტომ 1852 წელს, რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევანების დროს, კანდიდატად ამ თანამდებობაზედ დასახელებულ იქმნა, სხვათა შორის, როგორც ყველა მუშების, აგრეთვე სხვა მრავალთაგანაც დეპუტატი ნადო. უბრალო მუშის კანდიდატურა გვერდში ამოუყენეს ისეთის კაცების კანდიდატურას, როგორიც იყვნენ მაშინდელი პრეზიდენტი ლუი ბონაპარტი, შანგრიე და პრინცი ჟუანვილისა. არჩეულ იქმნა ბონაპარტე. როგორც ვუწყით, რამდენისამე ხნის შემდეგ სახელმწიფო არეულობა მოხდა და რესპუბლიკა სამეფოდ იქმნა გადაკეთებული. რამდენად საშიში იყო ლუი ბონაპარტისათვის არჩევანების დროს ნადოს კანდიდატობა, სჩანს, სხვათა შორის, შესანიშნავის პოეტის ვიქტორ ჰიუგოს შემდეგ სიტყვებიდგან, რომლითაც მან ნადოს მიჰმართა: „თქვენის სახელის შიშმა ბონაპარტს სახელმწიფოს წეს-წყობილება შეაცვლევინა და რესპუბლიკა გააუქმებინაო“. აი რასა სწერს საფრანგეთის იმ დროის ისტორიის შემდგენელი ტაქსილ დელორი: „მოწინავე რესპუბლიკანელებმა კანდიდატად რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზედ დაასახელეს უბრალო კალატოზი ნადო, რომელიც კრეზის დეპარტამენტის სოციალისტთა წარმომადგენელი იყო საკანონმდებლო საკრებულოში. ნადო პატიოსანი, ჰკვიანი მოქალაქე იყო, მაგრამ მას არ შეეფერებოდა, ბურჟუაზიის აზრით, ისეთი კაცობა, როგორიც უნდა იყოს სამეფოს გამგე“.

რესპუბლიკის გაუქმების დროს, სხვა რესპუბლიკელებთან ერთად, ნაპოლეონ მესამის ბრძანებით, დაპატიმრებულ იქმნა მარტენ ნადოც. ის ჯერ მაზასის საპყრობილეში ჩასვეს, შემდეგ სრულიად განდევნეს საფრანგეთიდგან. პირველად ნადო ბრიუსელში დასახლდა, შემდეგ იქიდგან ლონდონში გადავიდა, სადაც სამუშაო იშოვა და ისევ ძველ თავისს საქმეს—კალატოზობას მიჰყო ხელი. ლონდონელმა კალატოზებმა სიხარულით მიიღეს დეპუტატად ნამყოფი და პრეზიდენტის თანამდებობაზედ კანდიდატად დასახელებული; ხელის-მოწერით ფულიც-კი მოუგროვეს, მაგრამ ნადომ უარი განაცხადა ფულის მიღებისა. უარი განაცხადა აგრეთვე იმ 1,000 ფრანკზედ, რომელიც იმასთან ერთად მაზასში დამწყვდეულმა ამხანაგებმა დეპუტატებმა გამოუგზავნეს. ნადომ თავისის ოფლითა და შრომით ცხოვრება ამჯობინა.

კალატოზობაში ნადომ მთელი სამი წელიწადი გაატარა. როდესაც სამუშაო არა ჰქონდა, ინგლისსა, ირლანდიასა და შოტლანდიაში ჰმოგზაურობდა და იქაურების ცხოვრებას უკვირდებოდა და სწავლობდა. 1855 წელს ლუი ბლანის რჩევით ნადომ ფრანგულის ენის მასწავლებლობას მიჰყო ხელი. დიდხანს უარობდა ნადო მასწავლებლობას და მხოლოდ მაშინ მოჰკიდა ხელი ამ ახალს საქმეს, როდესაც რამდენიმე თვე მოანდომა ფრანგულის გრამატიკის შესწავლას, რომელშიაც, ცოტა არ იყოს, შესამჩნევად ჰკოჭლობდა. ნადო ჯერ ერთის პატერის ოჯახში მასწავლებლობდა, ხოლო შემდეგ სასწავლებელში გადავიდა. მალე ისე კარგად შეისწავლა ინგლისური ენა, რომ ქ. ილლინგის სალიტერატურო კლუბში რამდენიმე ლექციაც-კი წაიკითხა ინგლისურს ენაზედ. ბოლოს პროფესორის ადგილი მისცეს ვიმბელდონის სამხედრო სასწავლებელში, სადაც ფრანგულის ენის გარდა ასწავლიდა თავისის სამშობლო ქვეყნის ლიტერატურასა და ისტორიას. რასაკვირველია, წინდაწინ თითონვე ემზადებოდა ამ საგნებში. ამ თანამდებობაზედ ნადომ დაჰყო 1859 წლამდის, როდესაც სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცა. ცოტა ხნობით საფრანგეთში წავიდა, მაგრამ მალე ისევ დაუბრუნდა მასწავლებლობას ვიმბელდონში, სადაც 11 წელიწადს კიდევ დარჩა. საბოლოოდ ინგლისს თავი დაანება მხოლოდ 1870 წელს, როდესაც საფრანგეთის იმპერია დაეცა და კვლავ რესპუბლიკა იქმნა აღდგენილი, ამ ხანად მესამე რესპუბლიკა. გამბეტამ მაშინვე ნადო კრეზის დეპარტამენტის პრეფექტად დანიშნა, მაგრამ მალე ნადომ თავი დაანება ამ თანამდებობას, რადგან იგი თავისს შესაფერად არა სცნო. 1876 წ. ნადო არჩეულ იქმნა დეპუტატად და 13 წელიწადს დეპუტატად იყო. უკანასკნელი 10 წელიწადი, როდესაც აღარ იქმნა არჩეული პარლამენტის წევრად, მარტენ ნადომ თავისს სამშობლო სოფელში მშვიდად გაატარა. ეს შესანიშნავი კაცი გარდაიცვალა პარიჟში შარშან, 1898 წელს, ღრმად მოხუცებული — 83 წლისა.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებათა წყალობით. მიჰყვეს ხელი დაუღალავს შრომას, გასწმინდეს, დაბარეს, შემოავლეს და გააშენეს ვენახები, უმეტეს ნაწილად ერთის ხარისხის ვაზი, რომელიც შავ ყურძენს ისხამს და ეწოდება „ალექსანდრეული“ იგივე „გაბისტონი“. ეს ყურძენი მალე მწიფდება, ასე რომ იმერეთში სხვა ყურძენი კვრსად ვერ ასწრებს დამწიფებას. ეს ვენახები გადაიქცა ადგილობრივ მკვიდრთა ერთად-ერთ ცხოვრების სახსრად და წყაროდ. ამისი ნაყოფისით იცვამენ, იხურავენ, გარდასახადს და ცხოვრების სხვა მოთხოვნილებას ამის წყალობით ისტუმრებენ.

ეხლა, როგორც გაზეთებში ამოვიკითხეთ, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს აზრად ჰქონია, რომ რაჭის მევენახეობის მხრივ დაცემულ სოფლებს რამე შემწეობა აღმოუჩინოს ამერიკულის ვაზის საშუალებით; სხვათა შორის აპირებენ გამოჰგზავნონ ვაზები რაჭის პატარა ონის ორ-კლასიან სასწავლებელში; უნდათ აქ გააკეთონ სანერგე და მითი ხალხს გააცნონ მისი მოვლა-მოშენება. ეს სოფ. პატარა ონი რიონის მარცხენა ნაპირს მდებარე სოფლების რიცხვთა შორისაა; ერთის სიტყვით, იქ, სადაც მევენახეობა არა ჰყვავის და არც აჰყვავდება.

ჩემის აზრით, როგორც-კი შემოიტანენ აქ ამერიკულ ვაზებს, უეჭველად თან გამოჰყვება ფილოქსერაც. ფილოქსერა, როგორც ვიცით, საკვირველად მალე მრავლდება და თქვენი მტერი, იმან ჩვენ საქმე გვიყოს. ცეცხლზედ წყალს დაგვისხავს. ბუნებისაგან ვენახები მაინც არ ვარგა, მაგრამ ფილოქსერა ადვილად გადმოვა რიონ გამოღმა მხარეს და ჩვენს ვენახებს მალე მოუსპობს იმ თავისს სიკეთესა და ღირსებას. ჩვენი მამულების, ჩორჯოს, ხვანჭკარის და ტოლის პირდაპირ ს. პატარა ონის მამულებს აკრავს ისე ახლოს, რომ ერთი ვერსი თუ იქნება ჩვენ მამულებსა და იმათ შუა, მხოლოდ რიონი გვყოფს. კარგი იქნება, რომ საფილოქსერო კომიტეტმა ამ გარემოებასაც ანგარიში გაუწიოს.

კონდრატი გაბიჩვაძე

# რუსეთი

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, პუშკინის დღესასწაულებზედ დასასწრებლად ევროპიდგან პეტერბურგში მივლენ 30 სხვადასხვა სალიტერატურო საზოგადოების წარმომადგენელნი.

— როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ სამარკანდში დედათა უმაღლესი სამკურნალო ინსტიტუტი იქმნას დაარსებული.

— როგორც ვუწყით, პეტერბურგსა და მოსკოვს შუა უკვე გამართეს ტელეფონი, ეხლა აზრადა აქვთ პეტერბურგსა და ვარშავას შუაც გამართონ.

— მიწად-მოქმედების დეპარტამენტს აზრადა აქვს შეიძინოს 1000 ცალი პუშკინის თხზულებათა იმ კრებულისა, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო გამოსცემს და უსასყიდლოდ დაურიგოს სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოსწავლეებს.

— უწმ. სინოდში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთის ყველა საეპარქიო სანთლის ქარხნებისათვის ერთი საზოგადო წესდება იქმნას შემუშავებული.

— როგორც „Пет. Вѣд.“-ი იუწყება, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მოსკოვში დედათა უნივერსიტეტი იქმნას დაარსებული. უნივერსიტეტში სამი ფაკულტეტია განზრახული: სამკურნალო, საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო. საგნებს ისეთსავე პროგრამმით ასწავლიან, როგორითაც ვაჟთა უნივერსიტეტში. ამ აზრის განსახორციელებლად უკვე შეუწირავს ერთს კაცს 100,000 მანეთი.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ლონდონში ამას წინად მიტინგი იყო გამართული გააგაში განზრახულ მშვიდობიანობის კონფერენციის შესახებ. სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტის ცნობილმა წევრმა ბრაისმა. იმ კეთილის საქმის სასარგებლოდ, რომელიც გააგის კონფერენციაზედ უნდა იქმნას განხილული, იმდენი კარგი რამ იყო თქმული, რომ ეხლა ახლისა რისამე თქმა ძალიან ძნელია, სთქვა თურმე ბრაისმა. ამისდა მიუხედავად, ამ ბოლოს დროს ზოგიერთი ცნობები აღმოჩნდა, რომელთაც ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითებრ, ამ ოცის წლის წინად, დიდი ბრიტანია ჯარისათვის ხარჯავდა 710 მილიონ მანეთს. ეხლა-კი ჰხარჯავს 1160 მილიონ მანათს. ამ ხარჯის მატება უნდა მიეწეროს ჯარისა და ფლოტის გაუმჯობესობის სურვილს. ამ ცნობებმაო, ს ქვა ბრაისმა, შეუძლებელია არ დააფიქროს და არ შეაშფოთოს ადამიანი, რადგან იქ აღნიშნავს თანდათანსა და შეუწყვეტელს გაძლიერებას მილიტარიზმისას ინგლისში. რაც უნდა შეძლებული იყოს ესა თუ ის ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს მაინც საშიშია იმისათვის სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის გაძლიერება და ამ გაძლიერების ბუნების რაღაც სასტიკად და დაუძლეველ კანონად გარდაქმნა. ინგლისის სამხედრო ხარჯი, შედარებით რომ ვთქვათ, უფრო ძლიერ ჰმატულობს, ვიდრე ამავე სახელმწიფოს შემოსავალი და მცხოვრებელთა რიცხვი და დიდი ხანია დროა ინგლისის მთავრობა შესდგეს ამ უბედურს გზაზედ. სამხედრო ფლოტის გაძლიერება უსარგებლოდ მიგვაჩნია ინგლისისათვის, ვინაიდგან რა სარგებლობა უნდა მოიტანოს სამხედრო ხომალდმა, რომელსაც ოცის წლის მშვიდობიან ზღვაზედ სიარულის შემდეგ დაამტვრევენ და დაშლიან ხოლმე, ან კიდევ რა სიკეთე მოაქვს ყუმბარებსა და ტყვიას, რომელნიც ცდის დროს გასქდება ხოლმე. ხოლო ეს თქმული ჭეშმარიტებაა არა მარტო ინგლისისა, არამედ მთელის ქვეყნის შესახებ. ყოველი ერი ამ ჟამად მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფის და ყველას სურვილს ესაძირკვლა რუსეთის მეფის წინადადება. ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ინტერესი თხოულობს, რომ ეს წინადადება რუსეთის მეფისა სავსებით და უკლებლისად იქმნას შეწყნარებული. ამ კონფერენციის წყალობით ინგლისს შეძლება მიეცემოდა ერთიორად შეემცირებინა თავისი სამხედრო ხარჯი და ამ გვარად დაზოგილ 250 მილიონით ბევრს სასარგებლო რასმეს გააკეთებდაო.

ბრაისის მიერ წარმოთქმულს სიტყვას ალტაცებით მიეგება თურმე მიტინგზედ შეკრებილი ინგლისის საზოგადოება. საზოგადოებამ დაადგინა: წინადადება მივცეთ მთავრობას, რომ გააგას კონფერენციაზედ გაგზავნილთ ინგლისის სახელმწიფოშ დიდად ვრცელი უფლებანი არწმუნოსო.

—

**საფრანგეთი.** გუშინა ვწერდით, რა ელაპარაკნა საფრანგეთის ჯარის ერთს აფიცერს დრეიფუსის საქმის შესახებ. ეს ამბავი ბელგიის გაზეთში იყო დაბეჭდილი. ეხლა გაზ. „Matin“-ი, გარდასცემს რა ამბავს თავისს მკითხველებს, იმათ ვინაობასაც ასახელებს, ვინცა ყოფილა ის აფიცერი, დრეიფუსის მოსამართლეთაგანი და ვის სახლშიაც ულაპარაკნია. გაზეთი ამბობს, რომ ის აფიცერი—კაპიტანი ფრაისტეტტენია, ხოლო ის დეპუტატი, რომლის სახლშიაც იმას ულაპარაკნია,—ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი ლანესსანიო.

— „Joural“-ი იუწყება, რომ საკასსაციო სასამართლოს პალატათა შეერთებულს კრებულს განზრახვა აქვს დრეიფუსის საქმის გამო დასამატი გამოძიება აღარ მოახდინოს. ამ გაზეთის სიტყვით მოსამართლენი მხოლოდ განსაზღრულ მნიშვნელობიანადა სთვლიან პიკარის-მიერ გამომჟღავნებულ გარემოებათ, ხოლო ესტერგაზის ნათქვამს-კი ყოვლად უმნიშვნელოდ. სასამართლო თითქმის მხოლოდ და მარტო იმ საქმეს მოანდომებს დროს, რომ 1894 წ. დრეიფუსის განსამართლების საქმეს გასინჯავს, განიხილავს ბორდეროს და იმ საგანს, თუ რამდენად სამართლიანია სამხედრო მოსამართლეთა განაჩენი და მოიპოვება თუ არა ისეთი რამ ახალი გარემოება, რომ იგი ამ განსამართლების საქმეს ხელახლად გასასინჯსა და განსახილველსა ჰხდიდეს.

— ზოგიერთ ფრანგულ გაზეთების სიტყვით, მრავალს წარჩინებულს აფიცერს საფრანგეთის ჯარისას, რომელნიც მოწმეებად ყოფილან საკასსაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში დრეიფუსის საქმის გამო, მიუმართავთ სამხედრო მინისტრისათვის და უთქვამთ, რომ ჩვენ გვსურს შევავსოთ ჩვენ მიერ წინად ნალაპარაკევი, თუ საკასაციო სასამართლოს შეერთებული კრებული ჩვენებას ჩამოგვართმევსო. ფრეისინე დაჰპირებია, რომ მაგ საგანს მინისტრ პრეზიდენტ დიუპუისა და სასჯულო საქმეთა მინისტრ ლებრესთან ერთად განვიხილავო, და შემდეგ ამ აფიცრებისათვის გამოუცხადებია, რომ თქვენი მოწმობა საჭირო არ არისო.

## დამაკვირდი

ფარშევანგისა ფრენა ვერ შევძლო, ბუზებრ მაშინცა გავბზრიალდები.

სულხან საბა

* * *

ბევრის ცოდნასა ზედა თავდადებამან დამიხშო კარი მეცნიერებისა.

ლასურიძე

* * *

ვითარცა იზრდების ხორცი, ეგრეთვე იზრდების სული; ხორცთათვის პური, ხოლო სულისათვის სიტყვა.

მწერალი (1586 წლ.)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩრდილოეთ ამერიკის კოლორადოს შტატში ამ ახლო მომავალში შეუდგებიან ახალის გვირაბის გათხრას. ამ ჟამად დედამიწის ზურგზედ მრავალი გვირაბია, მაგრამ იმ სიგრძე არც ერთი არ იქმნება, როგორიც ეს ახლად განზრახული გვირაბი. როგორც გამოანგარიშებულია იმისი სიგრძე 50 ვერს უნდა აღემატოს. შიგნით გვირაბი ქვითკირით იქმნება ამოშენებული და ელექტრონით განათებული. ამას გარდა ჰაერის გასაწმენდათ მილები იქმნება ამოყვანილი.

ამერიკაშივე აზრადა აქვთ ააგონ უდიდესი ხიდი მთელს დედამიწის ზურგზედ. ხიდი გადებული იქმნება მდინარე გუძონზედ. უმთავრეს მასალად ამ ხიდისათვის იხმარებენ ფოლადს. სულ დასჭირდება 132 მილიონი კილოგრამმა ფოლადი. ხიდის სიგრძე 2 ვერსამდე იქმნება. ამ ხიდის აგებას მოუნდება სულ 45 მილიონი მანეთი.

მეორე დიდს ხიდს რკინის გზის მატარებლებისათვის ამერიკელები აშენებენ ნიაგარის წყალ-ვარდნილზედ.

* * *

დედამიწის ზურგზედ მრავალი კუნძულია, რომელზედაც ჯერ ადამიანის ფეხი არ შედგმულა. ბევრი ისეთი კუნძულიც არის, სადაც ადამიანი ყოფილა, დაუვლია იქაური მიწა-წყალი და თუმცა ბუნება საცხოვრებლად მდიდარი ყოფილა, მაგრამ სხვა ქვეყნების სიშორისა გამო იქ არ დარჩენილა. ეს შორს და განმარტოებით მდებარე კუნძულები მეცნიერებისათვის ბევრს საყურადღებოს და საინტერესოს წარმოადგენენ თურმე. იქაური მცენარეულობა და ცხოველები დიდად განირჩევიან სხვა ქვეყნების მცენარეულობისა და ცხოველებისაგან. ის ცხოველებიც-კი, რომელნიც სხვა ქვეყნებში სცხოვრობენ, შესამჩნევად იცვლებიან და სხვა-გვარდებიან, თუ ამ კუნძულებზედ გაუშვებენ და იქ დარჩებიან საცხოვრებლად. ასეთი მაგალითები უკვე ყოფილა. ამ რამდენისამე ათის წლის წინად ხუან-ფერნანდეცის კუნძულის მახლობლად ერთი გემი დაღუპულა. გადარჩენილ ზღვაოსნებს ამ გემზედ მყოფი ცხოველები და მცენარეები კუნძულზედ დაუტოვებიათ. რამდენისამე წლის შემდეგ, როდესაც ხელახლა უნახავთ ეს კუნძული, დატოვებული ცხოველები და მცენარეები ჰავისა და სხვა პირობების წყალობით სრულიად გადაგვარებულან. ოდესღაც წმ. პავლეს კუნძულზედ გარეული ფრინველები გაუშვიათ, ისეთი ფრინველები, რომელნიც ამ კუნძულზედ არ მოიპოვებოდნენ. ერთი მოგზაური, რომელიც რამდენისამე წლის შემდეგ ამ კუნძულზედ ყოფილა, სწერს, რომ ამ ფრინველების შთამომავლობა იმდენად გადაგვარდა, რომ სხვა ქვეყნის ასეთსავე ფრინველებს თითქმის აღარაფრით აღარა ჰგავსო. რადგანაც ამ კუნძულებზედ ხალხი სრულიად არა სცხოვრობს და პირუტყვიც ცოტა მოიპოვება, ფრინველს იქ ნაკლები ბრძოლა უხდება არსებობისათვის. ამის გამო ხასიათი ეცვლება და წინანდელი შიშიანობა და სიფრთხილე ეკარგება. მოგზაური დასძენს, რომ კუნძულზედ გაშვებული ფრინველები უშიშრად მხარზედ მასხდებოდნენ და სრულიად არ მერიდებოდნენ, მაშინ; როდესაც ამავე ჯიშის ფრინველს სხვა ქვეყანაში კარგა დიდ მანძილზედ ვერ მიუდგება კაციო.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ჲგ)

ახალი შრომა სულხან საბა ორბელიანისა, (№ 450, in quarto, გვ. 708) თავით ბოლომდე ნუსხურით გადაწერილი 1729 წელს.

გადამწერი (გვ. 706)): აღიწერა სულთა განმანათლებელი წიგნი ესე თეთრს რუსეთს, ღვთისაგან კურთხეულს სამეფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოს ხელითა ჩემ ცოდვილისა ზოსიმე ორბელიანის და თვით ორბელისძისათა. უფალნო მამანო და ძმანო! განიხილეთ კეფი *) და კაბადონი ამა წიგნისა ვითარ უშვერად და უგვანად აღწერილი არს: რომელნიმე სხვილნი, რომელნიმე წვრილნი, სხვაგან აღმოფხეკილნი, სხვაგან ტრიქონთა განუწყობლობა. ესე ამისთვის იქმნა, რომელ ფრიად ავ და ყოვლითურთ უშვერ ვიყავ,—ვითარცა წერილი ესე ჩემი ავთვალადი და ფრიად უმეტეს ავტანადის ორისავე გოჯითა მკელობელი **) და უმეტეს ავგულადი და ყოვლითა ცოდვითა აღსავსე, და უფრორე მრისხანე და ყოვლით ასოთ და ნაწევრით სრულად ავ ვიყავ. ვინაჲთგან უფალი სიყვარულსა ბრძანებს ჲ პავლე ურთიერთარს ჭირისა ტვირთვასა, არა სიყვარულისა ჩემისათვის, არამედ მცნებისათვის უფლისაჲ და ქადაგებისათვის პავლესა, ამა სწავლების მთქმელისათვის შენდობას ჰბრძანებდეთ, ჲ გარდმოცვივნებულისა ნაბიჭევის, გან მცირე რაჲმე ლოცვა მეცა მახუდინეთ, ვითარცა ტაბლათა დანაბერტყთა რაჲ ხუდეა ძაღლთა მუნათა: ნუ თუ უფალმან შეისმინოს სიყვარულით მონიჭებული წყალობა თქუენი და ცოდვათა ჩვენთა ტვირთსა მცირედი, თითთა თქუენთა მიერი, შეწევნა სარგებელ გვექმნეს: რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისა, და თქუენცა ნაცვალსა მიმღებელ იქმნეთ უფლისაჲ მიერ. ჩღკთ (1729): ნოენბრის: Ც.

წიგნი სასულიერო შინაარსისაა: ადვილ-გასაგებ ენით და მარილიანად მოთხრობილია „სწავლა სულხან საბა ორბელიანისა“ (ასე აწერია სათაურად უველა წერილს) ეკკლესიისა, დუმილისა, აღსარებისა, ზიარებისა, მოთმინებისა, ჯოჯოხეთისა, სიყვარულისა, სტუმართმოყვარებისა, ვერცხლის-მოყვარებისა, უთმინოებისა, ურჩობისა, მრისხანებისა, სამშვიდისა, სიმთვრალისა და სხვათა შესახებ.

წიგნში განბნეულია მრავალი ბრძნული სიტყვა სიბრძნე-სიცრუის ავქსონისა.

შიგა და შიგ საბა აღიმაღლებს ხმას და იწვევს ქართველთა სამღვდელოებას დაიცვას სამწყსო გათათრებისაგან. რასა გმინავთო, თქვენნი ცხოვარნი მგელმა წარიტაცაო.

„ცხოვარნი აღარა შეკრბებიან სტვინვასა სალამურისა, არა ჰყეფს ძაღლითეოსა ზედა, იავარ იქმნა ფარეხი კრავთა და თიკანთა, განაბნიენა მხეცმან სამწყსო თქუენი, მოგტაცათ მპარავმან ცხოვარნი უფლისანი და შეჭამა მგელმან. განაღვიძეთ ძილისაგან მძიმისა, ნუ განსცხრებით შვებითა, ნუ მომედგრდებით გარე ვლითა ღაღადებითა მცირითა, თქვენცა დადევით სული თქვენი მსგავსად დიდისა მის მწყემსისა, შეიყვარენით ცხოვარნი, დაუსტვინევდით ტკბილად, აღპარსვიდით მცირედ-მცირედ მატყლთა ცოდვათა მათთასა, მოსწველენით რძე ნაკლულევანდ სიტკბო იგი სინანულისა, რათა არა სასოწარკვეთილ იქმნენ, აღრიცხვეთ სამწყსონი თქვენნი, გამოიკითხენით ცხოვარნი, მოიძიეთ წარწყმედული, მოაქციეთ შეცთომილი, ჰკურნეთ წყლულებასა მგელთა მიერთა, შეუკრენით შემუსვრილობანი და კვალად შეაერთენით სამწყსოსავე თქვენთა, რათა ამათ მიერ განმრავლდეს სამწყსონი თქვენნი და ცხოვარნი უფლისა ჩვენისანი“.

მამულის მოყვარეობის ნაკადულია ეს მაღალი მჭევრ-მეტყველება!

კვლავ განაგრძობს საბა:

„ჟამსა შინა ამას ჩვენსა იყო ვინ ხვადაშნისა (სოფ. ხოდაშენი) დაბისაგან მწყემსი ერთი, ცხოვართა მშვინვიერთა კაცთა, უსწავლელი და მსგავსი პირუტყუთა ზრდილობისა და უმცარი წესითა. წარსტაცა მგელმან ცხოვარი ერთი სიბნელესა ღამისასა. სცნა მწყემსმან მან და უწყო დევნა მგელსა მას წყუდიადსა სიბნელესა შინა და ღაღადობდა და უხმობდა ძაღლთა თვისთა. ეწია უკანა მგელსა მას, ხოლო წინა კერძო დაემთხვია კლდე ფრიადღრმა. დაუტევა მგელმან ცხოვარი იგი და შიშისაგან გარდაიჭრა კლდესა მას და მოკუდა. ხოლო ვერც კაცმან ამან მოახსენა კლდე იგი მწუხარებისაგან და სიყვარულისგან ცხოვარისა და ღამისა სიბნელისა; კაცი იგიცა გარდაიჭრა

*) კეფი—ბერძნულად თავი.

**) მკელობელი—კოჭლი.

კლდესა და მოკუდა, და ცხოვარი თვისი განარინა“.

თუ ამ უსწავლელმა კაცმა ერთის ცხვრისათვის თავი დასდო, თქვენ მეცნიერთ როგორ არ შეგიძლიანთ თქვენი ცხოვარნი დაიცვათ განსაცდელისაგან. ჰხედავთო, რომ სამწყსოდ ესე პირმეტყველი განიბნინა მწყემსთა თვისთა უდავწყლობისათვის. თუ არ შეგიძლიანთ მათი დაცვა, ნურც გამოითხოვთ მწყსად ცხოვართა უფლისათა, ნუ სძღებით სძითა მათითა, ნუ იმოსებით მატყლითა მათითა.

ამ გულის-გამგმირავ სიტყვების თქმისათვის საბა ახლა ბოდიშს ითხოვს.

„შემინდვენით, უფალნო ჩემნო, კადრებისა ამისთვის, რომელი კადნიერ ვიქმენ წინაშე თქვენსა, არა ღირსი. რამეთუ გრწყილნიცა უკბენენ კაცთა მძინარეთა ღამესა შინა, რათა განიღვიძონ ძილისაგან და აღდგენ ლოცვად და ვედრებად უფლისაა. კვალად ძაღლნიცა რაჲ შეშინებულ იქმნენ მხეცისა მიერ, მიირქმნენ მწყემსისა მძინარისა და უკბენენ, რათა განაღვიძონ მწედ მათდა, რათა არა იავარ იქმნას ცხოვარი. მეცა მსგავსად მათდა შემრაცხენით და ნუ რისხეულ მეყოფით მშვიდნი სილაღით მაადრებელსა ამას ცოდვილსა“.

ნუ დაივიწყებთ, რომ სულხან საბა ასე ცეცხლს აფრქვევდა მაშინ, ოდესცა ოსმალებმა დაიპყრეს იმერეთი, გამაგრდნენ ტფილისში, მოინდომეს სიონის მკნითად ქცევა, და კახეთანც მეფე-კი ყველა თავი კაცებითურთ აიყარა და რუსეთს გადასახლდა.

კარგად ახასიათებს ამ დროს დავით გურამიშვილი.

გვირგვინის ცოლი გაუშვეს,
ხარჭასთან შექმნეს რბოლანი,
უმად წაუკიდნენ იასსა,
იქ́ნენ მაჭმადის ქოლანი!
შეიქმნა დიდი მტერობა,
თქმა ერთმანეთის მვირისა,
ამპარტავნობა და შური,
ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა,
გზებზედ დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება
ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!
ღმერთიც გაურისხდა ერს:
ცა რისხვით შუა განიპოს,
ქვეყანა შეიძროდისა,
კვნახთ უწვიმის სეტყვანი
მსგავსი ნახეთქი ლოდისა,
კალია დასცის ყანებსა,
ქარი უქროდის ოდესა!
მოუგდის დიდი სიყმილი,
შემუსრის ძალი პურისა,
აღარვინ იყვის ღვინითა
აღმავსებელი ჭურისა,
შემცირდის ხართა ნახნავი,
მოსწყდის ნაწველი ფურისა!
გამოუგლინის ნადირნი,
მჭამელნი კაცთა ხორცისა,
მოთხარის მკვდარნი საფლავით,
ცოცხალით ბევრი ხოცისა,
ხმალ-კაპარჭთ რიდი არ აქვნდის,
არცა ხელმხას ტყორცისა.
ამ უთაურობის დროს
თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი,
მერმე შინათ აიშალნენ,
ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი,
თავის თავსა ხმალი იცეს,
გულთა მოიხვედრეს ხიშტი!
ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,

რა ორნივე დაღალულნი
მაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,—
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩათ თურქთა, ლეკთა, დიდოს!

და აგი ამიტომაც დიდებული მამულიშვილი არცხვენს სამწყსოს უმწყემსოდ დამტოვებლებს და რუსეთში გარდახვეწილებს.

მ. ჯანაშვილი

## ხალხური ლექსი

(გაგონილი და ჩაწერილი ს. ბაზალეთში დ. ა. მოლოდინაშვილის მიერ)

რას მიერყევ-მოერყევი
ნალვინარი მთვრალივითა,
გადასდიხარ, გადმოსდიხარ
ნაფუზარის ხარივითა.
შენ ჩემს თავსა არვინ მოგცემს,
თუნდ რომ გაჰხმე სარივითა,
ასეთია ჩემი ქმარი
შეპელილი ჯვარივითა.
დალმა ლაშქარს დაუძლვება,
ჰბრუნავს თითისტარივითა,
სისხლის ზღვა გამოვარდება,
შიგ დაცურავს ნავივითა.
რას მელტვი, შე ქალაჩუნავ,
თუ ცოცხალი მომივიდა,
სულ ასო-ასო აგკაფავს,
გაგატყავებს წავივითა.

—

იმა მთასა და ამ მთასა
ხელს მოვავლებ, ძვრას ვუზამ,
ალაზანსა და იორსა
დავეწაფები, ყლაპს ვუზამ,
თორმეტსა ლიტრა რკინასა
კბილს ქვეშ შევიგდებ, კნაწს ვუზამ,
გაროსკიპებულს დიაცსა—
ჩემს ცოლს-კი ველარას ვუზამ.

—

ავილებ ბარსა, ნიჩაბსა,
ვავთხრი ქვასა და ქვიშასა
მინდორში კარავს დაგიდგამ
საგრილობელსა მზისასა.
ძირს მარმარილოს გაგიშლი,
ფეხი არ ახლო ქვიშასა,
დაგიფენ ხალიჩებსა,
ასნაირს ფერადისასა.
გაიარ-გამოიარო,
მის დღეში არა გიშავს-რა,
თუ მაგას ვერ შაგისრულებ,
ვაი მეყაროს, პირშავსა.

—

იმ ჩემი ათი ძმის მზემა,
მეთერთმეტე მამისამა,
აღდგომისა დიდმა დღემა,
შეწევნამა კრავისამა,
შენ თავს არვინ მირჩევნიან,
ფიცმა რა ჰქნას ქალისამა?!..

# დეპეშა

17 მარტი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის ქალებითურთ ცარსკოე სელოში გადაბრძანდნენ.

ვიატსკის გუბერნიის მოუსავლობით დაზარალებულ მაზრებში—ელაბუჟსკისა, სარაპულსკისა, მალმიშსკისა და ურჟუმსკისაში არსებობს წითელის ჯვრის საზოგადოების 6 კომიტეტი. 26 თებერვლამდე დაარსებულ იქმნა 222 სამზრუნველო, 3 სასადილო 850 მოზრდილ კაცებისათვის, 372 სასადილო 8,990 ბავშვისათვის. პური და ფქვილი ეძლევა 17,288 კაცს.

**პარიჟი.** პალატამ დილის კრებაზედ შეიწყნარა ხარჯთ-აღრიცხვის უკანასკნელი მუხლები, ხოლო შემდეგ მთელი ხარჯთ აღრიცხვა, 464 ხმის უმეტესობით 46 ხმის წინააღმდეგ.

**პარიჟი.** „ჟურნალი“ ამბობს, რომ იმპერატორ ვილჰელმის ავადმყოფი შვილი ახლო მომავალში დინარში მოვა იმპერატრიცასთან ერთადაო.

**აპია.** ამერიკელები და ინგლისელები 8 დღის განმავლობაში ყუმბარებს უშენდნენ იმ სოფლებს, რომელნიც მატააფს მხარს უჭერენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ მატააფი აპიას დაეცა, თუმცა წინად ულტიმატუმი გაუგზავნეს, რომელშიაც თხოულობდნენ ტახტიდგან გადადექიო. გერმანიის ელჩმა წინააღმდეგობა განაცხადა მატაფის გადაყენების გამო. რამდენი კაცია ადგილობრივი მცხოვრები მოკლული—არ იციან. მოკლულ და დაჭრილ იქმნა ამერიკელი და ინგლისელი რამდენიმე ზღვაოსანი.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ მოლაპარაკებას გერმანია, ინგლისი და ამერიკა სამოას შესახებ მშვიდობიანად განაგრძობენო.

19 მარტი

**პეტერბურგი.** თავად-აზნაურთა წოდების საქმეთა შესახებს ცალკე საბჭოში შემუშავებულ იქმნა პროექტი წესებებისა, თუ როგორ უნდა დაარსდეს სტიპენდიები შთამომავლობით თავად-აზნაურთათვის. პროექტის დედა-არსი შემდეგია: სამოქალაქო უწყების უმაღლესს და შუათანა სასწავლებლებში თავად-აზნაურთა საზოგადოებათა მიერ, ხაზინის დახმარებით, არსდება წოდებრივი სტიპენდიები შთამომავლობით თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ეს სტიპენდიები უზრუნველ-ყოფილ უნდა იქმნას თავად-აზნაურთა საზოგადოებათა მიერ ან სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში ერთგზობით შეტანილ თანხით, რომლის სარგებლით უნდა შეივსოს ნახევარი ხარჯი სტიპენდიებისა, ან ყოველწლიურ გადადებულის ფულით, რომელიც უნდა ჰფარავდეს ნახევარს ხარჯს იმავე სტიპენდიებისას. განკარგულება სტიპენდიებით ეკუთვნის სტიპენდიების დამაარსებელს თავად-აზნაურთა საზოგადოებას. სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ შვილებს იმ თავად-აზნაურთა საგუბერნიო გვაროვნობის ნუსხაში შეტანილ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც გუბერნიაში თავად-აზნაურთა ანუ ერობის მიერ არჩევანით, ან კიდევ საგლეხო დაწესებულებანში თანამდებობას ასრულებენ, ან ასეთის თანამდებობისათვის თავი დაუნებებიათ ცხრა წლის სამსახურის შემდეგ. როდესაც ამათი საჭიროება ამ მხრივ დაკმაყოფილებული იქნება, უპირატესობა სტიპენდიის მიღებისა აქვს თავად-აზნაურთა საზოგადოების ხელმოკლე წევრთ, რომელნიც თავისს მამულებში სცხოვრობენ და მეურნეობას მისდევენ. ნახევარი ხარჯი სტიპენდიებისა სახელმწიფო ხაზინის ხარჯით უნდა დაიფაროს. შთამომავლობით თავად-აზნაურობის შვილთა აღსაზრდელად პროექტის განზრახულია დაარსდეს კადეტთა კორპუსებში 415 უსასყიდლო ადგილი, რომლის განკარგულებაც თავად-აზნაურთა საზოგადოებათ მიეჩემება. უფლება ამ სტიპენდიებით სარგებლობისა მიეცემა ზემოდ დასახელებულთ, ნაჩვენების თანდათანობით.

„მთავრობის მოამბე“-ში დაბეჭდილია:

1) საერო განათლების მინისტრის განკარგულება:

„რადგან პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის არ მოისპო უწესოებანი, რომელთა გამო შეუძლებელია უნივერსიტეტის საქმიანობის განგრძობა, ამა უნივერსიტეტის ყველა სტუდენტები დათხოვნილ იქმნენ. ის პირობანი, რა პირობითაც შეიძლება კვლავ მიღებულ იქმნან სტუდენტები, ნაუწყები აქვს უნივერსიტეტის მთავრობას“.

2) პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისაგან:

„უნივერსიტეტიდგან დათხოვნილი სტუდენტები, რომელნიც მოისურვებენ უკანვე იქმნენ მიღებულნი იმ პირობით-კი, რომ სავსებით დაემორჩილნენ დადგენილს წესებს—ვალდებულნი არიან 24 მარტის არა უგვიანეს გამოჰგზავნონ ფოსტით რექტორის სახელობაზედ განცხადება ჯეროვანის შინაარსისა და თხოვნა უნივერსიტეტში მიღების შესახებ შემოსასვლელ ბილეთისა და ადრესის თანდართვით. კვლავ მიღება დამოკიდებულია უნივერსიტეტის მთავრობისაგან. ისინი, რომელნიც ვადაზედ აქ მოხსენებულ განცხადებასა და თხოვნას არ წარმოგზავნიან და აგრეთვე, რომელთა თხოვნაც შეწყნარებულ არ იქმნება, თავისს საბუთის ქაღალდებს სახლშივე მიიღებენ; სახლშივე გაეგზავნებათ ახალი შემოსასვლელი ბილეთი იმათ, ვინც უნივერსიტეტში იქმნება მიღებული. მერვე სემესტრის სტუდენტებს, რომელნიც მიღებულ იქმნებიან უნივერსიტეტში; სწავლის დამთავრების მოწმობა ფოსტით გაეგზავნებათ, თუ კვლავ მიღების თხოვნაში მოხსენებული ექნებათ სურვილი ასეთ მოწმობათა მიღებისა და თან აღნიშნავენ თავისს საცხოვრებელს ბინას. რომელთაც სწავლის დამთავრების მოწმობანი წინა წლებში აქვთ მიღებული და ამ გაზაფხულზედ ჰსურთ ეგზამენი გარდაიხადონ პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულს გამომცდელს კომისსიებში, ფოსტით ინსპექტორის სახელობაზედ უნდა გამოგზავნოს თხოვნა ბილეთის მიცემის შესახებ და ამ თხოვნაში თავისი საცხოვრებელი ადგილიც აღნიშნონ.

**პარიჟი.** სენატის სხდომანი გადადებულია 27 აპრილამდე, პალატისა—20 აპრილამდე.

საგამომძიებლო მოსამართლემ ფაგრმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც პრეზიდენტი ლემეტრი „საფრანგეთის სამშობლო საზოგადოების“ კომიტეტისა, ამავე კომიტეტის 4 წევრი და აგრეთვე საპლებისციტო კომიტეტთა თავმჯდომარე ბარონი ლეგუ ხასიათის გამასწორებელ პოლიციის სამართალში არიან მიცემულნი.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც-კი წერილობით, თუ პირადად მწუხარება გამიზიარეს ჩემის ძვირფასის ქმრის, რაჟდენ ჯაჯანაშვილის უდროვოდ გარდაცვალებისა გამო. აგრეთვე მადლობას ვუძღვნი იმათ, რომელთაც კეთილ-ინებეს და ქონებრივად დაეხმარნენ ჩემს ობლებს, სახელდობრ: თ. ვლ. მიქელაძეს, რომელმაც გამომიგზავნა 5 მან., თ. გრ. დიასამიძეს—10 მან., თ. ვას. მაჩაბელს—5 მან., სოფრ. მგალობლიშვილს—2 მ., ალ. ყიფშიძეს—2 მან. და წმ. ნინოს სასწავლებლის მასწავლებელთ, რომელთაც თავიანთ შორის მოაგროვეს და შეიტანეს ჩემის ქალის მეორე ნახევრის სწავლის ფასი. აგრეთვე სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს და კერძოდ კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ორბელიანისას 50 მან. და ვ. რ. ყიფიანს 10 მან. გამოგზავნისათვის, ამავე სკოლის ინსპექტორს და მსახურთ, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ ჩემის ობლების ბედ-იღბალში.

მარიამ ჯაჯანაშვილისა

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომლებმაც ოზურგეთში ახლად დაარსებულ სამრევლო-საქალებო სკოლის სასარგებლოდ შემოსწირეს 35 მანეთი. შემომწირველნი არიან იაგორ გურგენის ძე მამინაიშვილი—10 მან., ევტიხი ბესარიონის ძე მამინაიშვილი—5 მან., ორ-ორი მანეთი შემოსწირეს: ასლან სადრაძემ, თეოფილე ხომერიკმა, გრიგოლ თოხაძემ, ილიკო თოხაძემ, ტიტიკო დუმბაძემ, იფაკი გიორგაძემ,—იაკობ ბოგატურიამ; თითო მანეთი ალექსი ჭანკვატაძემ, დავით კუკულაძემ, ისიდორე ერქომაიშვილმა, ლასა თოხაძემ; ათ-ათი შაური: იუსტინე კუკულაძემ, სიმონ კალანდაძემ, კოსენა მაისურაძემ, იაკობ მეტრეველმა.

სულით და გულით ვისურვებ, რომ ასეთი კეთილის თანაგრძნობისათვის ბევრს ჩვენგანს წაებაძოს და მით საგრძნობელი შემწეობა აღმოუჩნდეს საერთო სასარგებლო საქმეს: მცირედი წვლილის გამოღება თითქმის არც ერთს ჩვენებურს არ გაუჭირდებ და საქმეს-კი დიდად წაადგება.

ოზურგეთის სამრევლო-საქალებო სკოლის კომიტეტის წევრი ნიკო თავდგირიძე


# განცხადებანი

## ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარ-მოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

ალექსანდრე გრიგორის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567.

(20—3—19).

## წყალ-წმიდის ძმობისაგან.

წყალ-წმიდის სამრევლო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტებით, ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. მსურველთ შეუძლიანთ (კერძო კაცებს) ისწავლონ უსასყიდლოდ. რაც შეეხება ხარჯსა და ბინას, სკოლის მმართველი მისცემს, შეძლებისა დაგვარად, შეღავათით ბინასა დ ხარჯს, თუ ცოტას იმუშავებს, ან ფულად.


Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Марта 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.